

**გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება #CMB**

ქ. თბილისი, საქართველო

01 აპრილი, 2021 წელი

**1. წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:**

**1.1. ბანკი:**

1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	203828304
1.1.3.	მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74
1.1.4.	ტელეფონი:	
1.1.5.	ელ-ფოსტა:	
1.1.6.	წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.1.7.	წარმომადგენლის თანამდებობა:	

**1.2. კლიენტი:**

1.2.1.	სახელი და გვარი/საფირმო სახელწოდება:	
1.2.1.1.	პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო ნომერი:	
1.2.1.2.	მისამართი:	
1.2.1.3.	ტელეფონი:	
1.2.1.4.	ელ-ფოსტა:	
1.2.1.5.	წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.2.1.6.	პირადი ნომერი:	
1.2.1.7.	წარმომადგენლის თანამდებობა/სტატუსი:	

**2. ხელშეკრულების საგანი**

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების და გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობების (რომელიც განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: <https://libertybank.ge/ka/agreements/generaluri-sakredito-xazit-momsaxurebis-xelshekrulebis-dziritadi-pirobebi>) საფუძველზე და შესაბამისად ბანკი უფლებამოსილია, გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში, მრავალჯერადად, კლიენტს გაუწიოს საკრედიტო პროდუქტებით მომსახურება, ხოლო კლიენტი ვალდებულია სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები, დროულად და სრულად გადაიხადოს საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები.

2.2. გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში საკრედიტო პროდუქტის (ა) გაცემის ზოგადი წინაპირობები, ფინანსური და არაფინანსური შეზღუდვები, დამატებითი პირობები, სანქციები და სხვა პირობები შესაძლოა განისაზღვროს კომერციულ პირობებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), (ბ) ინდივიდუალური პირობები, მათ შორის საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოების, პირგასამტეხლოების, სხვა გადასახდელების ოდენობა და სხვა კონკრეტული პირობები განისაზღვრება შესაბამისი შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ით, დანართებით ან/და მხარეთა შორის დადებული სხვა გარიგებ(ებ)ით.

**2.3. გენერალური საკრედიტო ხაზის საერთო პირობები შემდეგია:**

2.3.1.	გენერალური საკრედიტო ხაზის ერთიანი საკრედიტო ლიმიტი:	თანხა ციფრობრივად ([თანხა სიტყვიერად]) ვალუტა ან ეკვივალენტი შესაბამის ვალუტაში;
2.3.2.	გენერალური საკრედიტო ხაზის ამოქმედების თარიღი:	01 იანვარი, 2013 წელი;
2.3.3.	გენერალური საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადა (დროის თვე, კერძოდ 2013 წლის 1 იანვრამდე; ლიმიტი) და დახურვის თარიღი:	რაოდენობა ციფრობრივად ([რაოდენობა სიტყვიერად]) კალენდარული
2.3.4.	გენერალური საკრედიტო ხაზის მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი (წლიური):	[პროცენტი ციფრებით] ([პროცენტი სიტყვიერად]);
2.3.5.	უზრუნველყოფის ჩამონათვალი:	წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მის ფარგლებში დადებული გარიგებ(ებ)იდან გამომდინარე კლიენტის ვალდებულებების შესრულება უზრუნველყოფილია:

- (ა) თავდებობ(ებ)ით: (თავდები პირების დასახელება /სახელი და გვარი; საიდენტიფიკაციო ნომერი/პირადი ნომერი);
- (ბ) იპოთეკ(ებ)ით: (საკადასტრო კოდი);
- (გ) გირავნობ(ებ)ით: (გირავნობის საგნების აღწერა);
- (დ) სხვა: (უზრუნველყოფის აღწერა)

2.4. **საკრედიტო პროდუქტ(ებ)ზე** სრულად ვრცელდება **გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობები** (თუ მხარეთა შორის დადებული შესაბამისი წერილობითი გარიგებ(ებ)ით პირდაპირ არ არის გამორიცხული რომელიმე პირობის მოქმედება), მათ შორის **ტერმინთა განმარტებები, განცხადებები და გარანტიები, გენერალურის საკრედიტო ხაზით** სარგებლობის, ვალდებულებათა უზრუნველყოფის, კონფიდენციალურობის, მხარეთა პასუხისმგებლობის, ხელშეკრულების შეწყვეტის, დავების გადაწყვეტის, მხარეთა კომუნიკაციის პირობები და სხვა. ამასთან, კლიენტი ადასტურებს, რომ მისთვის (კლიენტისთვის) სრულიად გასაგებია **გენერალური საკრედიტო ხაზის ხელშეკრულების ძირითადი პირობები** და ეთანხმება მათ.

### 3. გენერალური საკრედიტო ხაზის პირობები

3.1 **ბანკი საკრედიტო პროდუქტებით** მომსახურებას (დაფინანსებას) ახორციელებს იმგვარად, რომ **განაცხადის** დაკმაყოფილების და შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულების** დადების შემთხვევაში **საკრედიტო პროდუქტის** მოქმედება ჯამურმა ნაშთმა არ გადააჭარბოს **გენერალური საკრედიტო ხაზის** ერთიან საკრედიტო ლიმიტს (თუ ასეთი ლიმიტი დადგენილია წინამდებარე **ხელშეკრულებით**).

3.2 **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულება** არ ავალდებულებს **ბანკს** ნებისმიერ შემთხვევაში **კლიენტთან** დადოს **შემადგენელი ხელშეკრულება**, გასცეს **საკრედიტო პროდუქტი**. წინამდებარე **ხელშეკრულება** მხოლოდ განსაზღვრავს **შემადგენელი ხელშეკრულების** დადების, **საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის** შესაძლო გაცემასთან დაკავშირებით **ბანკსა** და **კლიენტს** შორის წარმოშობილ ურთიერთობებს.

3.3 თუ შესაბამისი **შემადგენელი ხელშეკრულებით** პირდაპირ არ არის გამორიცხული ამ პირობის მოქმედება, **შემადგენელი ხელშეკრულებ(ებ)ის** საფუძველზე **ბანკს** წარმოეშვება მხოლოდ უფლება (და **ბანკი** არ არის ვალდებული) გასცეს რომელიმე **საკრედიტო პროდუქტი** (ან მისი რომელიმე ნაწილი/ტრანში), რაზედაც ის უფლებამოსილია არ განუმარტოს მიზეზები **კლიენტს**.

3.4 **შემადგენელი ხელშეკრულება** დადებისთანავე განიხილება, როგორც **გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების ხელშეკრულების** განუყოფელი ნაწილი და მათზე სრულად ვრცელდება წინამდებარე **ხელშეკრულების** პირობები.

3.5 **ბანკი** იტოვებს უფლებას, ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულებით** გათვალისწინებული პირობები (მათ შორის განსაზღვრული ტარიფები, **საკრედიტო პროდუქტის** თანხა და სხვა) **კლიენტისთვის** წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე იმისათვის, რომ იგი შესაბამისობაში მოვიდეს **ბანკში** დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და **კანონმდებლობასთან**.

3.6 **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებლის** ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის (ასეთის არსებობის შემთხვევაში იგულისხმება რეფინანსირების განაკვეთი, მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, LIBOR განაკვეთი ან/და სხვა) გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის ან შეჩერების შემთხვევაში, **ბანკი** განსაზღვრავს საჯარო ინდექსს, რომლის შესაბამისადაც მოხდება **საპროცენტო სარგებლის** ფორმირება, რის თაობაზეც შეატყობინებს **კლიენტს**. **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებლის** ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის გაუქმების/ოფიციალურად გამოქვეყნების შეწყვეტის ან/და შეჩერების შემთხვევაში: (ა) **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებელი**, არსებული საჯარო ინდექსით იქნება ფორმირებული იმ მომენტამდე, რა მომენტშიც **ხელშეკრულების** პირობების შესაბამისად უნდა მომხდარიყო არსებული საჯარო ინდექსის განახლება; (ბ) **ბანკის** მიერ ახალი საჯარო ინდექსის გათვალისწინებით განისაზღვრება/შეიცვლება **საპროცენტო სარგებლის** ფორმირებისთვის დადგენილი საჯარო ინდექსის დანამატი საპროცენტო კოეფიციენტი. ამასთან, **ხელშეკრულებით** განსაზღვრული **საპროცენტო სარგებლის** ფორმირებისთვის გამოყენებული საჯარო ინდექსის ოფიციალურად გამოქვეყნების შეჩერების შემდგომ მისი ოფიციალურად გამოქვეყნების განახლების შემთხვევაში, **ბანკი** უფლებამოსილია **საპროცენტო სარგებლის** ფორმირების მიზნით, აღადგინოს არსებული საჯარო ინდექსი ან განაგრძოს **საპროცენტო სარგებლის** ფორმირება შესაბამისი საჯარო ინდექსით.

3.7 თითოეული **კლიენტი** უფლებამოსილია **გენერალური საკრედიტო ხაზის** ფარგლებში ისარგებლოს შეთავაზებული **საკრედიტო პროდუქტებით** და დადოს **ბანკთან შემადგენელი ხელშეკრულება** როგორც ერთობლივად, ისე დამოუკიდებლად. შესაბამისად, თითოეული **კლიენტის** სოლიდარული პასუხისმგებლობა გავრცელდება როგორც წინამდებარე **ხელშეკრულებით** და მის ფარგლებში დადებული ნებისმიერი გარიგებით გათვალისწინებული

ვალდებულებებისათვის მიუხედავად იმისა, წარმოადგენს თუ არა კლიენტის ამგვარი სხვა გარიგებ(ებ)ის (მათ შორის კონკრეტული შემადგენელი ხელშეკრულების) ხელმოწერა / დამდებ მხარეს.

3.8 ერთ-ერთი კლიენტის ლიკვიდაცია (იურიდიული პირების ან სხვა ორგანიზაციული წარმონაქმნების შემთხვევაში), გარდაცვალება, ქმედუუნარობა ან/და შეზღუდული ქმედუუნარობა არ ათავისუფლებს კლიენტს/კლიენტებს წინამდებარე ხელშეკრულებით, ასევე დაკავშირებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულებისაგან, ასევე არ ზღუდავს ბანკის და კლიენტის უფლებას წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში დადონ შემადგენელი ხელშეკრულება და კლიენტმა ბანკის წინაშე იკისროს დამატებითი ვალდებულებები.

3.9 ბანკის მიერ ერთი ან რამდენიმე კლიენტისთვის ვალის პატიება არ ათავისუფლებს სხვა კლიენტ(ებ)ს ხელშეკრულებით, ასევე დაკავშირებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრულად შესრულებისაგან, ამავდროულად გულისხმობს, რომ ბანკის მოთხოვნას არ გამოაკლდება გამოთავისუფლებული კლიენტ(ებ)ის წილი.

3.10 თუ კრედიტით უზრუნველყოფილია სხვა საბანკო პროდუქტით სარგებლობისას კლიენტის მიერ ვალდებულებების შესრულება ბანკის წინაშე, ბანკი უფლებამოსილია შემადგენელი ხელშეკრულებით განსაზღვრული მიზნობრიობის შესაბამისად, კლიენტის დამატებითი მოთხოვნის ან/და თანხმობის გარეშე გასცეს კლიენტზე კრედიტის თანხა და ეს თანხა მიმართოს კლიენტის ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

3.11 თუ მხარეთა შორის დადებული შესაბამისი გარიგებ(ებ)ით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში გაცემული საკრედიტო პროდუქტის და მასთან დაკავშირებული გადასახდელების დაფარვის თანმიმდევრობა შემდეგია: პირველ რიგში იფარება ხარჯები (მათ შორის და არამარტო საარბიტრაჟო, სასამართლო დავასთან, სააღსრულებო წარმოებასთან დაკავშირებული ხარჯები, ზიანის ანაზღაურების თანხები და სხვა), შემდეგ პირგასამტეხლო, საკომისიო თანხები, შემდეგ პროცენტი და ბოლოს კრედიტის თანხა/ რეგრესული ანაზღაურების თანხა/ საკრედიტო პროდუქტის ძირითადი თანხა. ამასთან, აღნიშნული რიგითობა განისაზღვრება ბანკის შეხედულებისამებრ და კლიენტის წინასწარი თანხმობის გარეშე, შეიძლება შეიცვალოს ნებისმიერ დროს.

3.12 საკრედიტო პროდუქტის წინსწრებით ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ დაფარვის/ ჩანაცვლების შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია შეატყობინოს ბანკს აღნიშნულის შესახებ არანაკლებ 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღით ადრე, თუ კანონმდებლობით შეტყობინების უფრო მცირე ვადა არ არის გათვალისწინებული.

3.13 დაკავშირებული ხელშეკრულების მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება. კლიენტი გამოხატავს თანხმობას და ბანკს ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს ხელშეკრულების ნებისმიერ კლიენტს (თუ რამდენიმე კლიენტია), ასევე დაკავშირებული ხელშეკრულების (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და ა.შ ხელშეკრულების მხარეს): (ა) ხელშეკრულება (მათ შორის შემადგენელი ხელშეკრულებები) (ბ) ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, (გ) გარემოებების შესახებ ინფორმაცია, რაც ბანკის შეხედულებით შეიძლება გახდეს ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი, (დ) ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის ანგარიშიდან მიღებული ამონაწერის სახით). გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირობა არ ზღუდავს ბანკს დაამუშაოს კონფიდენციალური ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) და ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც განსაზღვრულია გენერალური საკრედიტო ხაზის ძირითადი პირობებით.

3.14 მონიტორინგი. კლიენტი აცხადებს თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში ნებისმიერ დროს, ბანკმა კლიენტთან მოახდინოს სატელეფონო კომუნიკაცია ან/და მიავლინოს კლიენტის საქმიანობის ან/და სხვა შესაბამის ადგილზე ბანკის თანამშრომელი ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირი და შეაფასოს, დაასურათოს, შეადგინოს შესაბამისი აქტი კრედიტის მიზნობრიობის შემოწმების და მონიტორინგის, ასევე კრედიტის დაფარვის წყაროს შესწავლის მიზნით და ამ მიზნების შესასრულებლად საჭირო მოცულობით.

#### 4. **პასუხისმგებლობა**

4.1 კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:

4.1.1 განახორციელოს ბანკში კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხების სრული ან/და ნაწილობრივი ბლოკირება თუ ბანკის შეფასებით საეჭვოა კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის სრული ან ჯეროვანი შესრულება; ან/და

4.1.2 კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ფულადი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების ვადის დადგომიდან ნებისმიერ დროს, ამ ვალდებულებ(ებ)ის დაფარვის მიზნით: კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ფულადი სახსრები ან/და დეპოზიტის თანხა პირდაპირ მიმართოს კლიენტის ბანკის წინაშე არსებული ვალდებულებების შესასრულებლად, მათ შორის დეპოზიტის დარღვევის/გამოსყიდვის ან/და შემცირების საშუალებით. თუ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის მომენტისთვის ბანკში მოქმედი კომერციული კურსით.

4.2 კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს რომელიმე ან რამდენიმე შემდეგი ქმედება:

4.2.1 არ გასცეს საკრედიტო პროდუქტი (ან მისი ნებისმიერი ნაწილი/ტრანში);

4.2.2 ხელშეკრულების, შემადგენელი ხელშეკრულების შეუწყვეტლად ან შეწყვეტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე მოსთხოვოს კლიენტს საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების სრულად ან ნაწილობრივ ვადამდე შესრულება (მათ შორის, კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის ან/და სხვა მსგავსი დავალიანების თანხის, მათზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის, საკომისიოსა და პირგასამტეხლოს, აგრეთვე ნებისმიერი სხვა სახის დავალიანების ჩათვლით), ხოლო კლიენტი ვალდებული იქნება დაუყოვნებლივ ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული პირობებით, სრულად დაფაროს ბანკის წინაშე არსებული საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელები;

4.2.3 მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა (ნეტინგი) მათ შორის ისეთი მოთხოვნების, რომელთა შესრულების ვადა გაქვითვის მომენტისთვის არ არის დამდგარი. თუ შესაბამის მხარეებს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ ერთზე მეტი მოთხოვნა, ურთიერთმოთხოვნათა გასაქვითად გამოიყენება ყოველი მათგანი, ხოლო აღნიშნულ მოთხოვნათა გაქვითვის აუცილებლობას ან/და რიგითობას ბანკი განსაზღვრავს ერთპიროვნულად და საკუთარი შეხედულებისამებრ. თუ გასაქვითი მოთხოვნები სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია მოთხოვნათა გაქვითვა განახორციელოს გაქვითვის მომენტისთვის ბანკის მიერ განსაზღვრული კომერციული კურსით. ან/და

4.2.4 დაიწყოს გადახდევინების მიქცევა კლიენტის ნებისმიერ ქონებაზე, უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ზე (ასეთის არსებობისას), დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირ(ებ)ის (თავდების, გარანტორის და ა.შ) ქონებაზე, ან/და მიიღოს საკუთრებაში უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ი.

4.2.5 გადახდევინების მიქცევისას კლიენტის ნებისმიერ ქონების ან/და უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის რეალიზაცია განახორციელოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე.

4.3 ბანკი უფლებამოსილია საკუთარი არჩევანით მოითხოვოს ვალდებულების დაფარვა კლიენტის ნებისმიერი ქონებ(ებ)იდან იმგვარად, რომ თავდაპირველად მოთხოვნის წარდგენა არ მოხდეს უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი პირის მიმართ. ასეთი ქმედება არ უნდა ჩაითვალოს ბანკის მხრიდან უზრუნველყოფის საშუალების საგანზე ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებაზე უარის თქმად და ბანკს უნარჩუნდება უფლება, ნებისმიერ დროს წარადგინოს მოთხოვნა, დაიწყოს გადახდევინების მიქცევა უზრუნველყოფის საშუალების საგანზე ან/და დაკავშირებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირ(ებ)ის ქონებაზე.

4.4 გადახდევინების მიქცევისას კლიენტის რამდენიმე ვადამოსული დავალიანების არსებობისას, ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ვადამოსული დავალიანების გადასახდელების რიგითობა და თანმიმდევრობა.

4.5 თუ უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის ღირებულება ან/და უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის რეალიზაციიდან ან/და გასხვისებიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული გადასახდელების სრულად დასაფარად, კლიენტი დარჩება პასუხისმგებელი დარჩენილი ფულადი ვალდებულებების ნაშთზე (მათ გადახდაზე). იგივე წესი ვრცელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში, რაც გულისხმობს, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის ყიდვის ფასი იქნება ბანკის მოთხოვნაზე ნაკლები, უზრუნველყოფის საშუალების საგან(ებ)ის რეალიზაციით მიღებული თანხით ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბანკის მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო ბანკი უზრუნველყოფილ კრედიტორად.

4.6 მიუხედავად წინამდებარე ხელშეკრულების 4.5 პუნქტით გათვალისწინებულისა, სალომზარდო საკრედიტო პროდუქტიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება ამ სალომზარდო საკრედიტო პროდუქტის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ დაკავშირებული ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადახდევინების მიქცევის შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და საკუთრებაში მიღების გზით) განხორციელებით. წინამდებარე პუნქტში მოცემული პირობა არ მოქმედებს თუ არსებობს რომელიმე შემდეგი გარემოება: (ა) სალომზარდო საკრედიტო პროდუქტთან მიმართებაში კანონმდებლობით ნებადართულია (არ არის შეზღუდული) მხარეთა მიერ აღნიშნული პირობისგან განსხვავებულ წესზე შეთანხმება (ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს წინამდებარე ხელშეკრულების 4.5 პუნქტით გათვალისწინებული წესი); (ბ) მოხდება სალომზარდო საკრედიტო პროდუქტის უზრუნველყოფის საშუალების საგანის რაიმე ფორმით დაზიანება, განადგურება, გადამალვა. გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული შეზღუდვა (ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების ფარგლები) არ ვრცელდება გენერალური საკრედიტო ხაზის ფარგლებში გაცემულ სხვა საკრედიტო პროდუქტ(ებ)ზე, თუ ასეთი საკრედიტო პროდუქტ(ებ)ი გაცემულია გადამხდელუნარიანობის ანალიზის საფუძველზე.

4.7 ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტის ან/და გადახდევინების მიქცევის შემდგომ (კლიენტის ფულადი ვალდებულებების სრულად დაფარვამდე) **საპროცენტო სარგებლის და პირგასამტეხლოს** დარიცხვა გაგრძელდება/შენარჩუნდება **ხელშეკრულებით** განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

**5. სხვა პირობები**

5.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი დადების დღიდან და მოქმედებს გენერალური საკრედიტო ხაზის მოქმედების ვადით, მაგრამ ყველა შემთხვევაში ხელშეკრულების ფარგლებში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

5.2 ეს ხელშეკრულება ან/და მის ფარგლებში დადებული ნებისმიერი გარიგება დადებულად ჩაითვლება, შესაბამის ხელშეკრულებაზე მხარეთა მიერ: ა) განხორციელებული ხელმოწერით ან/და ბ) ბანკის მიერ განსაზღვრული ელექტრონული არხის საშუალებით (მათ შორის ინტერნეტ ბანკის ან/და მობაილ ბანკის საშუალებით) თანხმობის გამოხატვით. ასეთ თანხმობას ექნება მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერის ტოლფასი იურიდიული ძალა.

5.3 კლიენტი არ არის უფლებამოსილი ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ან/და ნაკისრი ვალდებულებები. თავის მხრივ, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირს დაუთმოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნები ან/და უფლებები ან/და მესამე პირებისაგან მიიღოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება (მათ შორის წინსწრებით შესრულება).

5.4 ბანკის ვებ-გვერდზე განთავსებულ და ბანკის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის ბანკის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია ბანკის უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ხელშეკრულებით, ასევე დაკავშირებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

5.5 მხარეები თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

5.6 ხელშეკრულების ხელმოწერის შემთხვევაში ამ ხელშეკრულების თითო იდენტური ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

**6. მხარეთა ხელმოწერები**

ბანკი

კლიენტი